DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება



ძვირფასო DWV-ს წევრებო და მეგობრებო,

ჩვენს ქართულენოვან ბიზნეს ბიულეტენში ჩვენ თქვენთვის კვლავ შევაჯამეთ სიახლეები DWV-სა და მისი წევრი კომპანიების/პარტნიორების, ჩატარებული და დაგეგმილი ღონისძიებების, წევრების ექსკლუზიური შეთავაზებებისა და მნიშვნელოვანი ბიზნეს სიახლეების შესახებ. ბიულეტენის ბოლოს იხილავთ სპეციალურ შეთავაზებებს ჩვენი მკითხველებისთვის.

იცოდით, რომ?

DWV-ის, ჩვენი ღონისძიებებისა და წევრი კომპანიების შესახებ მიმდინარე ინფორმაციას ჩვენს ონლაინარხებზეც გაეცნობით.

დაასკანირეთ შესაბამისი QR კოდი:

- **გამოგვყევით** Facebook-**ზე**
- **შემოგვიერთდით** LinkedIn-**ზე**
- **ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს**

იყავით მუდმივ კავშირზე DWV-**სთან**!

Facebook LinkedIn Website



3 სექტემბერი 2026 | Tbilisi Philharmonic by Mercure Hotel, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა 10, თბილისი 0179
Expert Talk: **ახალი განვითარებები და ბიზნესშესაძლებლობები ცენტრალურ აზიაში** - Germany Trade & Invest-**ის** (GTAI) **წარმომადგენელ დოქტორ უვე შტრობახთან ერთად**

16 სექტემბერი 2026 | Sheraton Grand Tbilisi Metechi Palace, თელავის ქუჩა 20, თბილისი 0103
Get Together

24 სექტემბერი 2026 | DWV-ის წევრები სტუმრად „Aversi-სა“ და „Aversi-Rational-ში“
Meet the Member

8 ოქტომბერი 2026
ბიზნესფორუმი

ღონისძიებებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით ქ-ნ. მარიამ თუშიშვილს mariam.tushishvili@dwv.ge

ჩატარებული ღონისძიებები





2026 წლის აგვისტოში DWV-მ ჩაატარა:

- DWV-**ის ეკონომიკური შეხვედრა**
  The Biltmore Tbilisi Hotel-ში

წევრების სიახლეები

ProCredit Bank Georgia ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) ერთად ახორციელებს პროგრამას „ქალები ბიზნესში“ (Women in Business). პროგრამა მეწარმე ქალებს სთავაზობს დაფინანსებას, ტრენინგებსა და კონსულტაციებს და აძლიერებს მათ კომპეტენციებს ბიზნესის მართვის, ფინანსური დაგეგმვის, მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებისა და მდგრადი ზრდის მიმართულებით.

Orient Logic-**მა**, როგორც მრავალწლიანმა პარტნიორმა და პირველმა სპონსორმა, მხარი დაუჭირა კიბერუსაფრთხოების მე-10 საერთაშორისო ფესტივალს (IFCS 2026). ფესტივალის მთავარი თემები იყო კიბერმდგრადობა ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში, კიბერჰიგიენა, მონაცემთა დაცვა, თანამედროვე კიბერშეტევები და ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული თავდაცვა.

DSV Georgia-**მ**, DSV-ისა და Schenker-ის ინტეგრაციის შემდეგ, რებრენდინგის პროცესი ოფიციალურად დაასრულა. სამომავლოდ ყველა საქმიანობა DSV-ის ბრენდის სახელით გაგრძელდება. გენერალური დირექტორი გიორგი გამცემლიძე უზრუნველყოფს საქმიანობის უწყვეტობას მომხმარებლებისთვის, პარტნიორებისა და თანამშრომლებისთვის.

საქართველოს ბანკი ფინანსური განათლების ეკოსისტემის განვითარებას განაგრძობს. 2026 წლის პირველ ნახევარში ინიციატივამ 185 000-ზე მეტი ადამიანი მოიცვა. 350-ზე მეტ სკოლაში 4 000-მა მოსწავლემ პრაქტიკული ფინანსური ცოდნა მიიღო.

ყველა სიახლეს გაეცნობით აქ

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
Tel.: +995 32 220 57 67
E-Mail: info@dwv.ge
www.dwv.ge

ბიზნეს ბიულეტენის გამოწერის გასაუქმებლად დააჭირეთ
ქვემოთ მითითებულ ბმულს.